საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუმისთა

გუმისთა, სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტის გუმისთის თემში (აფხაზეთის არ), შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. გუმისთის მარცხენა ნაპირას. ზ. დ. 30 მ, სოხუმიდან 6 კმ . 4,2 ათ. მცხ. (1989). გ. ზღვისპირა კლიმ. კურორტია. ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია. იცის რბილი უთოვლო ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 6ºC) და თბილი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 24ºC). ნალექები – 1550 მმ წელიწადში, მზის ნათების ხანგრძლივობა – 2120 სთ წელიწადში, სამკურნ. საშუალება – თალასოთერაპია (ზღვის აბაზანებითა და მზით მკურნალობა).

გ. უშვერიძე